საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კომერციული საიდუმლოება

კომერციული საიდუმლოება, ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. იგი მოიცავს ინფორმაციას კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რ-იც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად და წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს და სხვ.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კ. ს-ის სტატუსი მიანიჭოს იმ ინფორმაციას, რ-საც მისი წარმდგენი პირი კ. ს-დ მიიჩნევს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს მას კ. ს-დ, იგი იღებს გადაწყვეტილებას ამ ინფორმაციის ღიაობის თაობაზე და დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რ-ის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართვ. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კ. ს-დ მიჩნევის საკითხი.

კ. ს-დ მიჩნეული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. იგი ღიად ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ აქვს ის ღირებულება, რ-ის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული.

ი. უჯმაჯურიძე